ნაციონალისტი

პარასკევი ოქტომბრის 22 1920 წ. ნაციონალური და აგრარული პოლიტიკის ორგანო № 19 ფასი 10 მან.

მისამართი:
რედაქციის და კონტორის: დამფუძნებელი კრების (სასახლის ქ.) № 5. ტელეფონი 19-66.
რედაქტორის: წყნეთის ქ. № 17. ტელეფონი № 22

ხელის მოწერა:
წლის დამლევამდე — 750 მან. (ფოსტ. ხარჯით).
ერთი თვით ხელის მოწერა არ მიიღება.

განცხადებანი
მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტი 1 გვერდზე — 20 მან. 3-4-გვერდზე — 10 მან. სამგლოვიარო განცხადება 30 სტრიქონი — 400 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ნაციონალური პარტიის პირველი კონფერენცია

შესდგება თბილისში 23 ოქტომბერს (ღვინობისთვის 10 ძვ. სტ.).

დღიური წესრიგი:

I. მთავარი კომიტეტის და ფრაქციის მოქმედების მოხსენებანი.
II. პროგრამისა და წესდების განხილვა.
III. სამაზრო მოხსენებანი (დელეგატებისა).
IV. საერთო და საპარლამენტო არჩევნების სამზადისი.
V. არჩევნები მთავარი კომიტეტისა
VI. მიმდინარე საკითხები.

კონფერენციის წევრთა რიცხვად დაწესებულია 100

კონფერენციის წევრებად უნდა იქნან არჩეული ის პირნი, რომელნიც დასახელებულ იქნებიან პარლამენტის საარჩევნო სიაში.

კონფერენციის დელეგატთა ადგილები განაწილებულია მაზრებს შორის დამფუძნებელი კრების არჩევნებში მიღებულ ხმების მიხედვით (ასზე — ერთი)

მთავ. კომიტ. პრეზიდიუმი

კონფერენციის სხდომები გაიმართება ქალაქის საბჭოს დარბაზში.

კონფერენციაზე დასწრება შეუძლიათ არა დელეგატებსაც — პარტიის წევრებს: ბილეთების მიღება შეიძლება მთავარ კომიტეტში (წყნეთის ქ. № 17 ბინა 2 დღის 11 საათამდის)

კონფერენციაზე წაკითხული იქნება მოხსენებანი შემდეგ საკითხზე:
1. საქართველოს საგარეო — პოლიტიკური მდგომარეობა.
2. — საქართველოს საშინაო — ეკონომიური მდგომარეობა.
3. — ჩვენი პარტიის ტაქტიკა — ოპოზიცია.

პროგრამაზე მსჯელობის დროს განხილული იქნება რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის დებულებანი.

სახელმწიფოს გზაჯვარედინისათვის

საქართველოში პირველი ადგილი სასოფლო მეურნეობას უჭირავს. ამ დარგში, მიუხედავად საერთო არევ-დარევისა, მიწის რეფორმისა, ყველაზედ მეტი კეთდება, ჩვენი გლეხობის მიერ.

არ არის დღეს არც ერთი კუთხე საქართველოისა, სადაც სოფლის მეურნეს არ გაეორკეცებიოს მოსავლის სივრცე მაგრამ სოფლის შრომას არ აქვს დაზღვევა, პატივისცემა. მას აუარებელი ხალხე ახვევია როგორც შინაური, ისე შემოხიზნული ლტოლვილები, ხოლო სოფელი გაცვდა. საქართველო თავიდან ფეხამდის ჩამჯდარია ათასგვარ ბიუროკრატიულ დაწესებულებებში, რომელთა დაკმაყოფილება არამც თუ გლეხურ საქართველოს შეუძლიან, არამედ დიდ მრეწველ სახელმწიფოსაც კი გაუჭირდებოდა.

ეხლა გადავხედოთ ჩვენს ქალაქებს და დავრწმუნდებით, რომ საზღვაპრო ამბავი მოიხდარა სულ მოკლე ხანში. ქალაქების უხვად გამრავლებას რომ თვალი ავარიდოთ, მათ დაწესებულებებს ხომ ვერ დავივიწყებთ. ძველებს მრავალი დამხმარე, ფილიალური დაწესებულებები ატყუპებიათ ახლებიც გაჩენილან სოკოებივით. ერთი კაცის საქმეს 50 აკეთებს და ერთის ნაბრძანებს ასი მბრძანებლობს, რასაკვირველია, საკ თარი ვარიანტებით. ამასთანავე თვალი გადავავლოთ ქალაქის დალოცვილ პროლეტარებს და დარწმუნდებით მათ მუშაობაში. დღევანდელი მუშა მედიდურათ თვის უფლების კოდექსიას იმუშავებს მარტო.

ამნაირად, როგორც ვხედავთ, თუ ერთი ნაწილი ერისა მუშაობს, ათასი ათხრეებს და ატიალებს იმ შრომის ნაყოფებს, რომელიც სახელმწიფო თვალთსაზრისით უნდა ყოფილიყო დაცული და პატიოსნად მოხმარებული. როგორც გვეუბნებიან, ჩვენი ფინანსები განწირულია და ბიზეზებს კი, კარში ეძებენ. თუ გაგვიზრახავს გაჭირვებასთავი დავაღწიოთ, საჭიროა, არა მარტო „თათბირი“, არამედ საქმიანობა და უმალ მთელი სახელმწიფოს აპარატის განახლება, საჭიროა სწრაფათ სოფლიდან ქალაქამდის გაიწმინდოს ყველა დაწესებულებანი, რომელთაც ჯერ ზიანის მეტი არაფერი მოუტანიათ ქვეყნისთვის.

სახელმწიფო აპარატი უნდა გახდეს მსუბუქი, მარტივი და უბრალო. უნდა გაიწმინდოს ქალაქები უცხო ლტოლვილთა სპეკულიანტებისაგან, რომლებიც, როგორც ამბობენ, შინაურ რადიოთი ტყობილობენ წინდაწინ სატარიფო და სხვა დაწესებულებებიდგან ყოველ მოფიქრებულ ნაბიჯს. ასეთმა მათმა სტრატეგიულმა პოზიციებმა არა ერთხელ და ორჯერ კისერი მოსტეხეს %%% მომატებებს და ჩვენ ბონებს კი ნომრებიც აუშალეს...

შემდეგ ამისა უნდა გაიწმინდოს მოხელეთა „წუმპე“, უნდა მოისპოს ჩვენი გაძანადგურებელი სპეკულიაციაც.

საერთო ვაკხანალიის მოსპობა შესაძლებელია იმ შეკნებით, რომელსაც დასავლეთში უწოდებენ le devoir-ს (მოვალეობას) და აი ეს შეგნება ჩვენში ჯერ არ ყოფილა, მას გამკვიდრება უნდა ძალიავრი მაჯებით. თუ ბელგიელი სოციალისტი ჯენტლიმენური სიტყვებით გვაგონებდა, რომ — თქვენ სიზარმაცეს ოქვენი დალუპვა შეუძლიანო — ნუ თუ დღეს ვერ ვხედავთ ჩვენ სიშიშვლეს და სიმშილს, მაგრამ იბადება საკითხი: შეაძლებელია გახა ყველა ამის შესრულება? ამ შიშს ჰბადებს ის გარემოება, რომ პატიოსან მამულიშვილების რიცხვი თითებზე დასათვალი გადა და მრავალსაც გული გაუტყდა სახელმწიფოებრივ მუშაობაზე. ერთი იმედი, რაც ყლიც გვაქვს, არის ის. რომ მღვრიე წყალი თავის თავად დაილეკოს.

მ. ბექაია.

საერთო სურათები

1. კარტოფილის სპეციალისტი.

ერობათა კავშირის რევიზორი — კონტროლი სადგურ ბადიანურზე ჩავიდა მოსავალის დასათვალიერებლად. სხვათა შორის ადგილობრივ პუნკტის მოსამსახურეებმა მას კართოფილის ბოსტანიც უჩვენეს. ძან ხელით გადახილა კართოფილის ფოთოლი და მწუხარებით წარმოსთქვა: „რაღა ეს უნდოდა უბედურ საქართველოს, აღარც კართოფილი მოდის“. კართოფილი კი მშვენიერი იყო.

ბ. რევიზორს ჰგონებია, თურმე, რომ კართოფილის მცენარე ნაყოფს ფოთლებსა და ყლორტებზე ისხამს.

როგორ განცვიფრდა ერობის მოხელე, როცა იქვე მდგომმა გლეხმა ამოუგლიჯა ერთი ძირი კართოფილი, უხვად დაკუნწლული ნაყოფით.

სხვათა შორის მისთვისვე უნდა ეჩვენებინათ თვის ძირები. მან იკითხა მანძილი თვის ზვინებისა, და სთქვა რაღა საჭიროა ნახვა, თვა ხომ იქა დგასო.

2. მეთვე.

ერობათა კომიტეტი ვოლ ერთი წევრი ჩავიდა ბ-ს სადგურზე მის განკარგულებაში მყოფ თოვლების დასათვალიერებლად. მან ხელში აიღო თეთრი კაჭაჭი და სთქვა: „რა მშვენიერი თივაა“. როცა იქვე მდგომ გლეხებს გაეცინათ, მან იკითხა: „მაშ რანაირი თივაა კარგი.“ რა აკვირველია, ასეთი სპეციალისტის ხელში თივის საქმე გაკეთდებოდა და მართლაც... რამდენიმე ათასეული ფუთი დალპა ზვიმებში იმის გამო, რომ ეს თივა ანაბარად იყო დატოვებული უფარდულად.

ამავე დროს ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს რაიონი (გარე-კახეთი) თვითონ საქართველოს მხედრობას ინახავს.

3. მენახშირე — დიკტატორი

ძველად ტერტერასთან იდგა ბიჭად, აბეზარი ყმაწვილები დაიკერდნენ ხოლმე და მუქარით ითამაშებდნენ, და ამასხარავებდნენ. გავიდა ხანი, წინმსვლელობა ყველაფერს დაეტყო და ჩვენი „მოჯამაგირე“ მენახშირედ გახდა. ნახშირის ვარდა ის ქერითა და სიმინდითაც ვაჭრობდა.. წარვიდა ის ნეტარი დროც... ქართველ მენშევიკებმა რუსეთში მოახდინეს რევოლიუცია და ჩვენი მენახშირე ერთ-ერთ სამაზრო ერობის გამგეობის თავჯდომარე გახდა. დღეს ის მთელ მაზრას და ერობის გამგეობასაც ატარებს. ამიტომ მაზრას დიდი წარმატება ამჩნევია სხვათა შორის მის პირველ მოლვაეობად უნდა ჩაითვალოს, რომ თავის სახლამდის შარაგზიდან ქვაფენილი გაიყვანა ხაზინის ხარჯზე. ეხლაც ბევრს მოლვაწეობს... ბევრს ჰყვირის და ბევრსაც აშინებს ის, ვინც ჯერ ტერტერასთან ბიჭად იდგა, მერე მენახშირეც იყო და მსოფლიოს გარდატეხის დროს კი, მთელი მაზრის დიკტატორი გახდა...

4. ფოსტალიონი ერობის თავმჯდომარე

საქართველოს ერთ-ერთ სამაზრო ერობას დღეს ყოფილი ფოსტალიონი უდგას სათავეში (გამგეობის თავმჯდომარეა).

მისი ცხოვრება კურიოზებით არი სავსე, სხვათა შორის მას თანაშემწეებში იშვიათად ჰყავს წერა-კითხვის მცოდნე და ულმობელი თითები განაგებენ მთელი მაზრის ბედ-იღბალს...

ერთ მშვენიერ დღეს, მან დაითხოვა რამდენიმე ერობის მოსამსახურე შტატის შემოკლების მიზეზით. მეორე დღეს კი დეპეშები აფრინა თავის ნათესავებთან: „კოლია, ჩამოდი, ბინა, შეშა, სურსათი, კარგი ჯამაგირი.“

„გალინა, ჩამოდი ადგილზე.“ „ავრაფინა და სერაპიონ უთუოდ ჩამოდით, საუკეთესო ადგილები... გიცდით“...

არელმანელი

უცხოეთის დეპეშები

მოსკოვის სამხედრო ცნობა

ოქტ. 19. პოლოცკის და მინსკის რაიონში ჯარები რუსეთ-პოლონეთის სახელმწიფო საზღვრებს იკავებენ. სლუცკის აღმოსავლეთით პოლესიეს რაიონში მოპირდაპირე გვიტევს. მკაცრი ბრძოლები გრძელდება, სარნის მიმართულებით ბრძოლაა. დაბა ოლევსკის დასაჭერად ნოვგოროდ-ვოლინსკის მიმართულებით ჩვენი ნაწილები განაგრძობენ დასავლეთის მიმართულებით შეტევას. შეპეტოვის მიმართულებით როგაჩევ-პარანოვსკის რაიონში ჩვენ აღვადგინეთ დაკარგული მდგომარეობა და განვაგრძობთ შეტევას ნოვობიაპოლ-ჩერტორიაკ-ლიუბარის წინააღმდეგ. ლეტიბევის და ლატ ნის რაიონებში ბრძოლა შმელნიკის აღმოსავლეთით დაჟ. ლიტინის ჩრდილო-დასავლეთით სწარმოებს. უმერინსკის დასავლეთით და მოგილოვ-პოდოლსკის რაიონში ჩვენთვის სასარგებლო ბრძოლები გრძელდება.

ბალშევიკების ვაჭრობა ევროპასთან

ლონდონი. „დეილი ტელეგრაფი" იუწყება: იტალიასა და საბჭოთა რუსეთის შორის გაცხოველებული სავაჭრო დამოკიდებულება არის გაჩაღებული. პარის გარდა საბჭოთა რუსეთიდან იტალიამ 2000 დ. სპილენძი გამოიტანა. ნეაპოლში რუსეთის ნავთს მოელიან. იტალიის სამრეწველო წრეები და მთავრობა მოითხოვს რომ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლებმა იტალიაში დახარჯონ მანქანებისა და მანუფაქტურის შესაძენად ის თანხა, რომელიც მათ იტალიიდან ერგებათ. გაზეთები იუწყებიან რომ ამ განზრახვის წინააღმდეგ წასვლას აპირებს საფრანგეთი, რომელიც ფიქრობს დაიკავოს ის ფული, რომელიც რუსეთმა უნდა მიიღოს, ეს მით უმეტეს უნდა მოხდეს, რადგანაც რუსეთის ნავთი მეტწილად უცხოელ კაპიტალისტთა ფირმებს ეკუთვნისო. საერთოდ ევროპაში აღძრულია საკითხი საბჭოთა რუსეთი სავაჭრო ოპერაციების წარმოების კანონიერების შესახებ.

რუსები ამერიკაში

ნიუიორკი. ოქტ. 26 ოფიციალურად არის გამოქვეყნებული ცნობა რუს ჟურნალისტის ალექს. ბრაილოვსკი დაჭერის შესახებ. ბრაილოვსკის ბრალდება მონაწილეობის მიღება მორგანის ბანკის აფეთქებაში. პირველ დაკითხვაზე ბრაილოვსკიმ ბოროტმოქმედებაში მონაწილეობაზე კატეგორიული უარი განაცხადა. ბრაილოვსკი „რუსკი გოლოსის" კანტორაში დაიჭირეს. ეს გაზეთი ნიუიორკში გამოდის.

ყირიმის ცნობები.

სევასტოპოლი. ოქტ. 16 ოფიციალური ცნობა. ტავრიის ჩრდილოეთ აღმოსავლეთით მდგომარეობა არ შეცვლილა. დნეპრზე მიწინავე რაზმები მოქმედებენ. უკანასკნელ ბრძოლებში პოლოგის მიმართულებით ტყვეთ ვიგდეთ 2000 წითელი. 73, 74, 75, 76 და 37 პოლკებმა და 9 და 12 საბჭოთა დივიზიებმა დიდი ზარალი ნახეს.

სომხეთი და რუსეთი.

სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ოგანჯანიანმა საბჭოთა რუსეთის გარეშე საქმეთა კომისარს ჩიჩერინს პროტესტი განუცხადა საბჭოთა რუსეთიდან ოსმალეთის ნაციონალისტებისათვის იარაღის გაგზავნის გამო.

ბელგიაში.

ოსტენდე გადაკეთდება უძლიერეს საზღვაო ბაზათ; ეს პირველი შეუეგია საფრანგეთ-ბელგიის ფარულ სამხედრო ხელშეკრულებისა. ამისათვის საჭირო ფულისათვის მიმართავენ ბელგიის პალატას.

არჩევნები ავსტრიაში.

ავსტრიის არჩევნების შედეგებს მთავრობის სრული შეცვლა მოყვება. ამ ჟამად უძლიერეს პარტიას ქრისტიან სოციალისტთა პარტია წარმოადგენს. ხმის დიდი უმრავლესობა მოითხოვს რესპუბლიკის პრეზიდენტს, პარლამენტს და კანცლერის თანამდებობის დაწესებას.

ქრონიკა.

ა. ხომერიკის თვითმკვლელობა.

გუშინწინ ღამით სტრიხნინით თავი მოიკლა მიწად-მოქმედების მინისტრის შეუღლემ ანეტა ხომერიკისამ.

პურის ფასი

გუშინ პურის ფასმა 5 მანეთით მოიმატა (შავი პური იყიდება 70 მან.)

კლუბების დაკეტვის და მათი საზოგადო სასადილოებად გადაკეთების გამო საგანგებო თათბირია პროფესიონალ ორგანოების სეკრეტარიატში შინაგან საქ. სამინისტროს წარმომადგენლების და სხვა ორგანიზაციათა მონაწილეობით.

ქერი.

ყირიმიდან 19 ოქტომბერს ფეოდოსიიდან ფოთში ჩამოვიდა 20 ვაგონი ქერი სასურსათო კომიტეტის სახელზე.

სომხეთში

გაემგზავრა დამ. კრების წევრი გრიგოლ გიორგაძე.

საერობო არჩევნები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულების თანახმად გურიის ერობამ ამ დღეებში მიმართა თემებს, რათა სამაზრო ერობისა და თემების საარჩევნო სიები დაუყონებლივ გაამზადონ. თემები უკვე შეუდგნენ ამ ნიადაგზე მუშაობა.

ფოთში.

ქალაქისთავს დაენიშნა თვიური ჯამაგირი, ა. წ. ოქტომბრიდან, 25.000 მანეთი, ხოლო გამგეობის წევრებს და საბჭოს მდივანს (იგივე გამგეობის მდივანი)—20,000 მანეთი თითოს.

ოზურგეთში.

ყველა გაზიდულ, და შემოზიდულ საქონელზე ადგილობრივ მეურმეთა კანტორის საშუალებით, საფუთო გადასახადი საბჭომ გაადიდა და ნაცვლათ 20 კაპ. დააწესა 2 მან. ფუთზე.

სვანეთში.

სვანების დელეგაციამ შემოწმებული ქაღალდები მიიღო ლეჩხუმის სანაზრო ერობის გამგეობისგან, რომ სვანეთს არ გადახდება არავითარი გადასახადი მისთვის საჭირო ხე-ტყეზე და არც საქონელზე. ამის შემდეგ სვანებმა იარაღი ჩააბარეს მთავრობას.

შაქრის ფასის დაწევა

ბათუმიდან ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილებაში მოსულ ცნობების თანახმად ბათუმის ბაზარზე შაქრის ფასებს ძლიერ დაუწევია: ბათუმში მოტანილ 1 ტონა შაქრის ფასმა 125 გირვანქა სტერლინგიდან 105 სტერლინგამდე დაიწია.

საქართველო და ოსმალეთი

სტამბოლიდან იუწყებიან, რომ ქემალისტებიდან „საქართველოს საზღვრების გადალახვას საქართველო მიიღებს, როგორც „კაზუს ბელისო".

გადასახადი წყალზე

ქალაქის წყალსადენის სამართველომ შეიმუშავა პროექტი მცხოვრებთაგან წყლის ფასის გადახდევნების შესახებ. პროექტის მიხედვით ყოველ რაიონს დანიშნული ექნება განსაზღვრული დღე წყლის ფასის შეტანისა და ამ გვარ ისპობა განსაკუთრებულ უწყებიხ გაგზავნა სახლის მეპატრონეთათვის. ეს პროექტი განსახილველად წარედგინა ქალაქის თვითველობას.

გადამდები სნეულებანი

სახალხო ჯანმრთელობის დეპარტამენტმა დაამუშავა მთრიგი ბიულეტენი გადამდებ სნეულებათა გავრცელებისა ოქტომბრის 8-დან 15-მდე ბიულეტენის ცნობით: ამ 6 ოქტომბერს ჯირყვლებიანი ჭირით ავათ ყოფილა 21 კაცი, მას შემდეგ ავად გამხდარა კიდევ 3 კაცი, მორჩენილა 6, 15 ოქტ. ავად ყოფილა 18 კაცი. თბილისში ოქტომბრის 8 ხოლერით ავათმყოფი ყოფილა 5 კაცი, ავად გამხდარა კიდე 3 კაცი, მორჩენილა 2, მომკვდარა 1, საავადმყოფოში ირიცხება 3.

გვარდიის სამეურნეო მოღვაწეობა

მთავრობამ ოქტ. 12 სხდომაზე დაადგინა მიანდოს სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს, რომ მან ერთი თვის განმავლობაში წარმოადგინოს მოხსენება თავის სამეურნეო მოღვაწეობის შესახებ, და საოპერაციო წლის დამლევს კი დაწვრილებითი ანგარიში.

გორის აღდგენა

სამხედრო სამინისტრომ გორის ქალაქის თვითმართველობას შუამდგომლობაზე, რომ მისთვის დანგრეულ ყაზარმების მასალები დაეთმოთ უპასუხა, რომ ნაწილი იმ ყაზარმათა მასალებისა უკვე ნაღები, აქვს გორის სამაზრო ერობას, ნაწილი სახალხო გვარდიამ გამოიყენა და უდიდესი ნაწილი კი მიმდინარე ხარჯებისათვის თვით სამხედრო უწყებას სჭირდებაო. ქალაქის თვითმართველობას დაეთმობა რამოდენიმე 100 ათასი აგური რომლის ფასსაც სამხედრო სამინისტროს ტეხნიკური კომისია გამოარკვევს.

ქართველების მიღება გერმანიის უნივერსიტეტებში

საქართველოში მყოფი გერმანიის დიპლომატიური წარმომადგენელობა გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი: „ვინაიდან ადგილობრივ პრესაში დაიბეჭდა ზოგიერთი ცნობები, რომლებიც გერმანიის უნივერსიტეტებში უცხოელთა მიღების გაძნელებას ეხებოდა, მე სინამდვილის გამოსარკვევად ამ საკითხის გამო შევეკითხე ბერლინი უცხოელების გერმანიის უნივერსიტეტებში შესვლის შესახებ. მე შემიძლია ახლა შემდეგი განვაცხადო. უცხოელების გერმანიის უმაღლეს სასწავლებლებში მიღებას ამ ჟამად დიდი დაბრკოლებები ეღობება წინ. მიღება გაძნელებულია თვით გერმანელი სტუდენტების მრავალ რიცხოვანობით, ბინის და სასურსათო კრიზისით, რომელიც უმთავრესად გერმანელ საუნივერსიტეტო ქალაქებში არსებობს. ხშირად, მართლაც მიუხედავათ დირექციის წინასწარ გაფრთხილებისა შეუძლებელი ხდება უცხოელის მიღება. ახალგაზრდები, რომლებმაც შორი და ძნელი მგზავრობა განიცადეს, ხშირად უსარგებლო ხარჯს ეწყვიან. ასეთ შემთხვევების თავიდან ასაცილებლად გერმანიის უმაღლეს სასწავლებელში უცხოელთა შესასვლელად შემდეგი წესები არის გამუშავებული. უცხოელებმა, რომელთაც სურთ გერმანიაში სწავლის მიღება, უნდა წარუდგინონ სათანადო თხოვნა თავის სამშობლოში მყოფ გერმანიის წარმომადგენელობას, თხოვნაში უნდა აღინიშნოს სპეციალობა და ის სასწავლებელი, რომელშიაც სურს შევიდეს მთხოვნელს, თხოვნასთან თანდართული უნდა იყოს გერმანულ ენაზე გადათარგმნილი პირადი ოწმობა.

გერმანიის წარმომადგენლობა მოთავსებულია თბილისში პასკევიჩის ქ. № 14 სახლში. წარმომადგენელობა თხოვნას გზავნის გარეშე საქმეთა სამინისტროში, საიდანაც იგი გადასაწყვეტად სათანადო სასწავლებლის დირექციას გადაეცემა. თუ სტუდენტი მიიღეს, ყველაფერი გაკეთებული იქნება, რათა მან გერმანიაში შესვლის და ცხოვრების ნებართვა მიიღოს. ვინაიდან გერმანიის წარმომადგენელობამ თხოვნაზე თავისი აზრიც უნდა გამოსთქვას, ამიტომ მთხოვნელმა უნდა აცნობოს მას თავისი პიროვნების და გერმანულ ენის ცოდნის შესახებ. პასუხის მიღებამდე მთხოვნელი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაემგზავროს გერმანიაში. მეცნიერების, ხელოვნების და განათლების მინისტრი განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრობა ქართველ სტუდენტების თხოვნას. რაც შეეხება სწავლის ფულს, სამხრეთ გერ-

უკანასკნელი ცნობები

კონსტანტ. გაზეთ „ბოსფორის" ცნობით, ინგლისი დიდ-ყურადღებას აქცევს ამ ჟამად აღმოსავლეთის საქმეებს. საგარეო საქმეთა საპარლამენტო კომისია შეეკითხა ლლ ოიდ-ჯორჯს და ლორდ კერზონს, მიიღო თუ არა მთავრობამ ლონისძიებანი აღმოსავლეთში დიდი ბრიტანეთის ინტერესების დაცვისათვის. იმავე გაზეთის ცნობით, ინგლისურ ხმელეთაშუაზღვის ესკადრამ ბრძანება მიიღო მუდამ ახლოს დგეს ტრაპიზონთან.

ინგლისურ საზღვაო ქვეითის რიცხვი კონსტანტინეპოლში გადიდებულია. ამ დღეებში კონსტანტინეპოლს ჩამოვიდა ათალი ტრანსპორტები ინგლისურ ჯარებით გამოუურკვეველი დანიშნულებით.

———

რესპუბლიკანური პარტია და სენატორი გარტინგი საჭიროდ სცნობენ დაახლოებას გერმანიასთან და მასთან სეპარატიულ საზავო ხელშეკრულობის დადებას, რაც შეეხება კოკსს, იგი კვლინდებურად აძლიერებს ვილსონის პოლიტიკას და კავშირს ანტანტთანაა. ამერიკელი გერმანელები მხარს უჭერენ გარტინგს, ინგლისელები ყოველ ღონისძიებას ხმაროობენ, რომ კოკსი გავიდეს. ცნობები იყო, რომ თითონ ინგლისის მთავრობაც ეხმარებოდეს ფულებს კოკსის სასარგებლო აგიტაციისათვის.

ბანიის რესპუბლიკაში საქსონიაში, მეკლენბურგ-შვერინში და ჰამბურგში, მართლაც ოქროს ვალიუტით უნდა იქნეს იგი შეტანილი. ეს შეეხება იმ სტუდენტებს, რომელთა სამშობლოშიც გერმანიის ვალიუტისათვის არა სასურველი პირობებია. სხვა ქვეყნების სტუდენტებს კი, როგორც წინეთ, ახლაც ახდევინებენ ორ იმდენს, რამდენსაც გერმანელ სტუდენტებს. იენში-კი ყველა უცხოელი სემესტრში 400 მარკას იხდის. ამ ცნობას ხელს აწერს დირექტორი დრიუფელი. ეს განცხადება გამოსაქვეყნებლად გადაეცა საქართველოს გარეშე საქმეთა სამინისტროს.

საძოვრების ფასი

ამა წლის ოქტომბრის 4 მიწად-მოქმედების სამინისტროს საიჯარო განყოფილებაში შესდგა თათბირი მეცხვარეთა კავშირის „მწყემსის“ წარმომადგენელის თანადასწრებით. ამ თათბირზე განხილულ იქნა მოხსენება საზამთრო საძოვრებზე დაწესებულ იქმნას შემდეგი ფასები: 1-ლი კატეგორიის ერთ დესეტინაზე უმაღლესი ხარისხისა (200 მან.), მე-2-რე კატეგორია (საშუალო ხარისხის) 150 მან., და 3 მე კატეგორია 100 მან. ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში სამაზრო ერობების შუამდგომლობით აღნიშნული ვადასახადი შეიძლება იქნეს გადიდებული 50% ით, რაზედაც აუცილებელია თანხმობა მიწ-მოწმედების მინისტრისა.

ეს დადგენილება ცირკულიარულათ ეცნობა ყველა ერობებს, საადგილ-მამულოს და ტყის გამგეებს სახელმძღვანელოთ და აღსასრულებლათ.

მევენახეობა—მეღვინეობის საგზ. მ.

მიწად-მოქმედების სამინისტროსთან არსდება მევენახეობა მეღვინეობის ცენტრალური საბჭო, რომელსაც თავმჯდომარეობს მინისტრის ამხანაგი, ან მინისტრის საბჭოს წევრი. მის მუდმივ წევრებათ ითვლებიან სასოფლო-მეურნეობის და სახელმწიფო მამულების განყოფილებათა გამგენი; მცხოვრებლთათვის აგრონომიული დახმარების სექციის გამგე, სასოფლო-მეურნეობის ინსპექტორი, საბინანსტროს სპეციალისტები მევენახეობისა, 5 პირი, რომელნიც თავის მოლაწეობით გამოჩენილნი არიან, და სხვა. ამ საქმის მიხედვით შეიძლება მოწვეულ იქნენ სხვა და სხვა უწყება—დაწესებულებათა წარმომადგენლები. საბჭოს მიანია: განიხილოს ის საკითხები, რომელიც შეეხება მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების საქმეს და გადადგას საჭირო ნაბიჯები, სახელდობრ: საბჭო განიხილავს: ა) სამაზრო საბჭოების მოქმედების შეთანხმებას და მიმართულებას,) ამათთვის იარაღების, აპარატების, მანქანების, სამკურნალო მასალის და მევენახეობის და მეღვინეობისთვის სხვა საჭირო საგნების მიწოდებას, გ) მიწ-მოქმედების სამინისტროს მევენახეობის ყველა ისეთ დაწესებულებათა მოქმედებას, როგორცაა: საცდელი სადგურები, ვენახის სანერგეები, ლაბორატორიები და სხვა. დ) შეშუშავება ახალ კანონ-პროექტისა სამინისტროს მოქმედების გეგმისახებ მევენახეობისა და მეღვინეობისა და სხვა.

კორესპონდენცია

ქუთაისის მაზრიდან.

ოქრიბა (გურნის თემი).

გურნის თემი მდებარეობს ქ. ქუთაისიდან 25 ვერსის მანძილზე. ძველი რეჟიმის დროს ამ თემში, რომელიც შესდგება შვიდი სოფლისაგან, არსებობდა მხოლოდ ერთად-ერთი დაწყებითი სასწავლებელი; დღ ს თითქმის ყველა სოფლებში არსებობს ასეთი სასწავლებელი, ხოლო სოფ. გურნაში წელს, სექტემბრიდან გახსნეს უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი. სასწავლებელს აქაური ხალხი არ გაურბის, თუ კი იყო სასურველ ნიადაგზე იქნა დამყარებული. ამისათვის დიდ ენერგიას უნდა იჩენდნენ სკოლის გამგეები და მასწავლებლები. მაგრამ, საბწუხაროთ, ჯერ-თეროობით ამას ვერ ვხედავთ ამ თემის ზოგიერთ მასწავლებლებში.

უკანასკნელნი არა სასურველ მაგალითს აძლევენ მოზარდ თაობას და ხალხსაც, რაც ცუდ გზაზე წაიყვანს განათლების საქმეს ამ თემში.—

ამ ზაფხულზე ზოგიერთ აქაური მასწავლებლების ინიციატივით გაიმართა წარმოდგენები თითქმის ყველა სოფლებში. ხალხს ეუბნებოდენ: მთელი შემოსავალი წარმოდგენებიდან სკოლისა და სამკითხველოს სასარგებლოთ გადადებაო და ნამდვილათ კი მათი ჯიბის სასარგებლოთ მართავდენ. თვით წარმოდგენას ჰქონდა არა სასურველი ხასიათი: აფიშებით აცხადებდენ წარმოდგენა დაიწყება საღ. 8 საათზეო, ხოლო იწყებდენ 10—11 სათზე; წარმოდგენებზე მოწვეული ყავდათ არღანი, რომელიც წარმოდგენების დაწყებამდე და ანტრაქტებში უკრავდა. გათავდებოდა წარმოდგენა თუ არა, დაიწყებდენ ქეიფს არღანით და რაც წარმოდგენიდან შემოდიოდა, ხარჯავდენ. სკოლისთვის და სამკითხველოსთვის, (უკანასკნელი ხსენებულ თემში არ არსებობს) არაც თუ მთელი შემოსავალი, არაფერიც არ გადაუდვიათ.

ასეთ მოქმედებას ხედავს ხალხი, რაც მასწავლებელისადმი იწვევს უნდობლობას და სკოლის საქმეს გულით აღარ ეკიდებიან. წარმოდგენები თუ გაიმართება, რასაკვირველია, დიდად სასიამოვნო და საჭიროა, მაგრამ შემოსავალი დანიშნულებას უნდა ხმარდებოდეს, და თუ არ მოხმარდება, დაპირებით ნუ გვატყუებენ. საჭიროა მიექციოს ყურადღება ამ გარემოებას, ვისაც ჯერ არს, თორემ ხალხი სკოლას სულ ჩამოშორდება.

გურნელი.

საქონლის ნედლი მასალის გადმოტანის წესდება.

1. საქონლის ნედლ მასალას, რომელსაც ეხება ეს წესდება, შეადგენენ: მოუქნელი ტყავი, ბალანი, ჯაგარი, მატყლი, გადაუდნობელი ქონი, ხორცი, ნაწლეები, ჩლიქები, რქა და ძვლები; რძე, კარაქი, ერბო, ხაჭო და სხვა გადამდნარი ქონი არ ექვემდებარება ამ წესდებას, მათი გადატან-გადმოტანა ხდება თავისუფლად.

2. ზემოდ ჩამოთვლილი საქონლის ნედლი მასალის გადატანა შეიძლება: ა) ადგილობრივი თემის მოწმობით იმის შესახებ, რომ იმ ადგილებში, სადაც ეს მასალა შეძენილია, არ არსებობს საქონლის გადამდები სენი, ბ) სათანადოთ შეკრულ-ჩალაგებული.

3. საქონლის ნედლი მასალის მეპატრონენი, რომელთაც მიაქვთ მასალა სავაჭრო ადგილებში, ან ბაზარზედ, მოვალენი არიან იქონიონ მე-2-ე §-ში ნახსენები მოწმობა.

4. საქონლის ნედლი მასალის ტრანსპორტის მეპატრონენი, რომელთაც შეიძინეს ეს მასალა სავაჭრო ადგილებში და ბაზარზედ, ან და გამოიტანეს საწყობებიდან გადასაგზავნად, მოვალენი არიან აიღონ ექიმ-ვეტერინარიდან მოწმობა იმის შესახებ, რომ იმ ადგილებში, სადაც მასალა შეძენილია, არ არსებობს საქონლის ავადმყოფობა და რომ ეს მასალა, სათანადოდ შეკრულ-ჩალაგებული, კეთილსაიმედოა.

5. სავაჭრო ადგილებში და ბაზრებზედ შეძენილი საქონლის ნედლი მასალის გადაგზავნა საქართველოს ტერიტორიის სხვა ადგილებში შეიძლება დაკანონებული შარა და რკინის გზებით.

6. საქონლის ნედლი მასალის გაგზავნა საზღვარ-გარეთ შეიძლება რკინის გზით და ზღვით.

7. ვაგონების და გემების საქონლის ნედლი მასალებით დატვირთვის დროს მეპატრონენი მოვალენი არიან წარუდგინონ ადგილობრივ პუნქტის ექიმ-ვეტერინარს ყველა საჭირო სათანადო საბუთების ბარათები, შემდეგ ეს ბარათები გადაეცემა რკინის გზის ან ზღვის სადგურის სამმართველოს გადასაგზავნათ სხვა საბუთებთან ერთად იმ ადგილს, სადაც ნედლი მასალა იგზავნება.

8. იმ ადგილებიდან, სადაც არსებობს საქონლის გადამდები ავადმყოფობა, ნედლი მასალის გადატანა აკრძალულია სენის მოსპობამდის.

9. გადაგზაცნა შეიძლება მხოლოდ გამომშრალი მოუქნელი ტყავების, ძვლების, ჩლიქების და რქებისა; ძვლები, ჩლიქები და რქები უნდა იყოს გასუფთავებული ხორცის და ძარღვების ნაწილებისაგან.

10. ხორცის და შიგნეულობის გადაგზავნა საყასბოდან დუქნებში, საწყობებში, რკინის გზის და ზღვის სადგურებში, მახლობელ სოფლებში და ქალაქებში შეიძლება შიგნიდგან ცინკ-აკრული ფურგუნებით, დაფარებული ზევიდგან სუფთა ტილოთი ან ბრეენტით; თუ შორს იგზავნება, ყუთები უნდა შეიკრას ჭილობში. გადაუდნობელი ქონი გადიგზავნება შიგნიდგან ცინკ-აკრული კალათებით, ბოჭკებით და ყუთებით.

ნაწლავები გადიგზავნება გამომშრალ დამუშავებული შიგნიდგან ცინკ-აკრული ბოჭკებით ან ყუთებით, ტილოში ან ჭილობში შეკრულნი.

მოუქნელი ტყავები გადიგზავნება ერთად შეკრული ბალნით გარეთ და ზევიდგან დაფარებული ბრეზენტით, ჭილობით. ბალანი, ჯაგარი და მატყლი გადიგზავნება შეკერილი ტილოს ტომრებში. ძვლები, რქები და ჩლიქები—მაგარი ყუთებით და ბოჭკებით.

11. ის პირნი, რომელნიც ჰგზავნიან საქონლის ნედლ მასალებს, მოვალენი არიან პირველსავე სავეტერინარო პუნქტის ექიმ-ვეტერინარს წარუდგინონ საბუთები იმის შესახებ, რომ მასალები კეთილსაიმედოა, და აგრეთვე თვით მასალები —ნესამოწმებლად, რომ სათანადოდ შეკრულ ჩალაგებულია; შემდეგ, მგზავრობაში, მასალები საბუთებით უნდა წარუდგინონ ვეტერინარ სანიტარულ ზედამხედველობას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ზედამხედველობა ამას მოითხოვს, რაც აღინიშნება საბუთის ბარათებზედ ზედ წარწერით.

12. იმ შემთხვევაში, როდესაც საქონლის ნედლი მასალების ტრანსპორტის ექიმ-ვეტერინარის მიერ გაშინჯვის დროს მეპატრონეთ არ აღმოაჩნდებათ კეთილ საიმედოების მოწმობა იმ ადგილების შესახებ, სადაც მასალები შეძენილია, ან თუ მასალების რაოდენობა არ შეეფერება მოწმობებში ნაჩვენებ რიცხვს, ტრანსპორტის უკანასკნელ დანიშნულ ადგილს უნდა მოხდეს მასალების დეზინფექცია მეპატრონეთა ხარჯით ექიმ ვეტერინარის მეთვალყურეობით.

თუ ასეთივე შემთხვევა შემჩნეულ იქნა გზაში ადმინისტრაციის მოხელეების მხრივ, ეს უკანასკნელნი მოვალენი არიან დაუყონებლივ აცნობონ იმ ადგილის ადმინისტრაციას, სადაც ტრანსპორტი იგზავნება, რომ მასალა კეთილ საიმედოების მხრივ საეჭვოა.

13. იმ შემთხვევაში, როდესაც საქონლის ნედლ მასალაზე გზაში, ან მასალებ ადგილს, ვეტერინაო სანიტარული ზედამხედველობა აღმოაჩენს საეჭვო ნიშნების გადამდებ ავადმყოფობისას ჯილეხისას (сибир. язва) ჭინჭინისას (эмфиз. корб) იამანისას, (злокач. отек.) სეპტიცემიისას, ქოთაოსას (сала), ცხვრის ყვავილისას, აგრეთვე ხორცზე ნიშნების გახრწნისას, მასალები და ხორცი დაუყოვნებლივ მოისპობა, რის შესახებაც ექიმი-ვეტერინარი ადგენს ოქმს ადგილობრივ ადმინისტრაციის წარმომადგენლის და ორი რწმუნებულის თანადასწრებით.

შენიშვნა: ტრანსპორტის მეპატრონეს, რომელიც არ დასთანხმდება მასალის და ხორცის მოსპობაზე, ნება ეძლევა სთხოვოს ვეტერინარ სანიტარულ გაუყოფილებას, რომ მან მიანდოს სხვა ექიმ-ვეტერინარს მეორედ გასინჯვა შემოწმება, მეორედ გაშინჯვამდის კი მასალები უნდა ინახებოდეს მეპატრონეთა ხარჯით დაქირავებული მცველებით განსაკუთრებული ადგილს.

14 გაგზავნა საქონლის ნედლი მასალებისა მოწმობების და სხვა საბუთების ბარათების ასლებით აკრძალულია.

15 საბუთების ბარათები მიეცემა საქონლის ნედლი მასალების წასაღებათ:

ა) განსაკუთრებულ ბლანკებზე, რასაც აწვდის ვეტერინარ სანიტარული განყოფილება ექიმ ვეტერინარებს და თემების გამგეობებს; ბ) საბუთების ბარათებში სისწორით და გარკვევით აღნიშვნით მასალების შეძენის ადგილებისა, მასალების, რაოდენობისა, საბუთების მიცემის ადგილებისა, ჩალაგების წესისა,

16. საქონლის ნედლი მასალების გზაში განაწილება და ხელმეორედ შეკვრა-ჩაბარება უნდა მოხდეს ექიმ-ვეტერინარის ზედამხედველობით, რაც უნდა აღინიშნოს მოწმობაში.

17. საქონლის ნედლი მასალის ტრანსპორტის გზაში შეჩერება, საქონლის დასვენება, მისი გამოკვება, ან და ღამის გასათევად დატოვება, დასაშვებია მხოლოდ სოფელ გარედ ან სოფელში განსაკუთრებულ ადგილს, რომელსაც ადგილობრივი საქონელი არა ჰხვდება.

18. საქონლის ნედლი მასალების ტრანსპორტი საბუთების ბარათებით უკანასკნელ დანიშნულ ადგილს მიტანისთანავე წარედგინება ადგილობრივ ვეტერინარ-სანიტარულ ზედამხედველობას, რის შემდეგ მეპატრონეთ ნება ეძლევათ მასალების, როგორც ბაზარზე გაყიდვისა, აგრეთვე საწყობებში შენახვისა; ან და ქარხანაში მიტანისა დასამუშავებლად.

19. ადგილობრივ თემის გამგეობანი და ადმინისტრაციის მოხელენი მოვალენი არიან თვალყური ადევნონ გზად გატარებულ საქონლის ნედლი მასალის ტრანსპორტს რესპუბლიკაში არსებულ წესდების სათანადო დასაცავათ.

20. საქონლის ნედლი მასალის ტრანსპორტის ნაწილობრივ გაყიდვა გზაში შეიძლება მხოლოდ ადგილობრივ ექიმ-ვეტერინარის ნებართვით და ზედამხედველობით.

21. უცხო სახელმწიფოებიდან საქონლის ნედლი მასალის შემოტანა საქართველოში შეიძლება მხოლოდ დაკანონებული გზით და ვეტერინარ სანიტარული ზედამხედველობის მოწმობებით. მეზობელ სახელმწიფოებიდან კი გარდა ამისა საჭიროა საქართველოს ელჩისაგან მოწმობა იმ ადგილების კეთილსაიმედოების შესახებ, საიდანაც ნედლი მასალა წამოდებულია.

22. გამოუქნელ ტყავების, მატყლის, რქების, ჩლიქების და ნაწილების შემოტანა ოსმალეთიდან, სომხეთიდან, ადერბეიჯანიდან და რუსეთიდან მხოლოდ გამომშრალი შეიძლება; ხორკის შემოტანა კი აკრძალულია; ნახსენებ ნედლ მასალას ექიმ ვეტერინარი სინჯავს საზღვარზე საბაჟო პუნქტზე.

23. საქონლის ნედლი მასალის შემოტანა საქართველოში უმოწმობებოთ აკრძალულია.

24. იმ შემთხვევაში, როდესაც მეზობელ სახელმწიფოებში საქონელზე არსებობს ჭირი არა უმორეს 50 ვერსისა ჩვენი საზღვრებიდან, შემოტანა ნედლი მასალისა ამ სახელმწიფოებიდან ჭირის მოსპობამდის აკრძალულია.

25. მეზობელ სახელმწიფოებიდან სათანადო საბუთებით შემოტანილ საქონლის ნედლი მასალის მეპატრონეთ სანაპირო პუნქტის ექიმი-ვეტერინარი გასინჯისთანავე აძლევს მოწმობას მასალის საქართველოში გასაგზავნათ.

26. სანაპირო სადარაჯოები და საბაჟოს სამმართველოს მოხელენი მოვალენი არიან დაუყონებლივ აცნობონ სანაპირო პუნქტის ექიმ-ვეტერინარს საზღვარზე მიტანილ საქართველოში შემოსატანად საქონლის ნედლი მასალის შესახებ და აღმოუჩინონ ექიმ-ვეტერინარს დახმარება ამ მასალების შემოწმების დროს.

ყველა საბაჟო სამმართველოსთან ექიმ-ვეტერინარს უნდა დაეთმოს ერთი ოთახი მოწყობილობით საოპერაციოთ და ერთი ოთახიც ტრანსპორტის მეპატრონეთათვის; ოთახები უნდა იყოს ნათელი: გათბობა, განათება და დასუფთავება ოთახებისა უნდა ხდებოდეს საბაჟოს ხარჯით.

27. იმ შემთხვევაში, როდესაც საქონლის ნედლ მასალას შემოიტანენ საქართველოში არ დაკანონებულ გზით, პირველ მოსაზღვრე თემის ადმინიატრაცია დააკავებს მასალას და დაუყონებლივ აცნობებს ადგილობრივ სანაპირო პუნქტის ექიმ-ვეტერინარს და საბაჟოს სამმართველოს. ამასთანავე თემის ადმინისტრაცია მოვალეა აღმოუჩინოს ექიმ-ვეტერინარს დახმარება ამ წესდებაში ნაჩვენებ საჭირო ზომების გასატარებლად.

განყოფილების გამგის თანამდებობის აღმასრულებელი

დ. ახმეტელი.

რედაქტორი: გრ. ვეშაპელი

სამხ. სამ. სტამბა, ლორის-მელიქ., 3

მატარებლების მიმოსვლა

ოქტომბრის 10-დან 1920 წ.

თბილისიდან გადის

ბათუმამდის	№ 3	10. ს. 58 წ.	დილ.
ბათუმში ჩადის		7 ს. 27 წ.	დილ.
ფოთამდის	№ 9	5. ს. 34 წ.	დღით.
ფოთში ჩადის		10 ს. 45 წ.	დილ.
ბათუმამდის ჩქარი	№ 7	10. ს. 28 წ.	საღ.
ბათუმში ჩადის		5 ს. 52 წ.	საღ.
ბორჯომამდის	№ 19	3. ს. 19 წ.	დღ.
ბორჯომში ჩადის		11 ს. 25 წ.	დღ.
სალ-ოღლამდის		7 ს. 20 წ.	დილ.
ხაშურამდის		№ 4 8.	დილ.
სანაინამდის ჩადის		5 ს.	საღ.
კახეთისკენ		8 ს. 30 წ.	დილ.

თბილისში მოდის

ფოთიდან	№ 10	3. ს. 51 წ.	
თფილისში მოდის		9 ს. 16 წ.	დღ.
ბათუმიდან	№ 4	4. ს. 9 წ.	დილ.
თფილისში მოდის		1 ს. 1 წ.	დღ.
ბათუმიდან	№ 8	11 ს. 37 წ.	ღამ.
თფილისში მოდის		7 ს. 36 წ.	ღამ.
ბორჯომიდან	№ 20	12 ს. 22 წ.	ღამ.
თფილისში მოდის		7. ს. 47 წ.	დილ.
სალ-ოღლიდან		12 ს. 10 წ.	დილ.
ხაშურიდან	№ 4	7 ს. 30 წ.	დილ.
თბილისში მოდ.		3 ს. 20 წ.	დილ.
კახეთიდან		თბილისში მოდ. 8 ს. 20 წ.	ს.

შენიშვნა: მატარებელს № 7 თბილისიდან მიყვება სამი ვაგონი პირდაპირ ქუთაისამდის; აქეთ კი მატარებელს № 8 მოყვება ერთი ვაგონი მიქსტი (I—II კლ.) და ორი ვაგონი III კლასისა.

თბილისსა და ბათუმ-ფოთ შორის მატარებლები დადიან 18—20 საათის განმავლობაში.

ბათუმის მატარებლები № 7—8 დროებით არ დადის.

კორესპოდენტებს და თანამშრომელთ

რომელნიც მუდმივათ აწვდიან რედაქციას წერილებს პროვინციის (სოფლისა და ქალაქ-დაბების) ცხოვრების შესახებ, ეგზავნებათ უფასოდ გაზეთი

კორესპოდენციები უნდა იყოს მოკლე და იწერებოდეს ნამდვილი ცნობების; ფაქტების შესახებ.

მეცხვარეობის საყურადღებოდ

მატყლის შეგროვება, შენახვა, ძოვლა მინდობილი აქვს

მეცხვარეთა კოოპერატიულ ამხანაგობა

„მწყემს“,

რომლის საშუალებით მთავრობამ დაურიგა წინასწარი ავანსი მეცხვარეთ.

ყოველი მეცხვარე, რომელმაც მატყლი ჩააბარა მთავრობას ამხანაგობა „მწყემსის“ საშუალებით, იმ ორი ათასი (2.000) მანეთის გარდა, რომელსაც იღებს მთავრობისაგან

მატყლის ადგილობრივად საფასურად,

მიიღებს აგრეთვე წმინდა მოგების ნაწილს და მაშასადამე, ის მატყლის საბოლოოდ განაღდებამდის ამ მატყლის პატრონად რჩება.

მატყლის განაღდებიდან მიღებული წმინდა მოგება განაწილდება შემდეგი წესით:

1) მეცხვარეობის ასოციაციებულ თანხის შესაქმნელად (ფონდი) ერთი მეათედი მოგებისა ე. ი. . . . 10 პროც.
2) მეცხვარეს ამხანაგობა „მწყემსის“ საშუალებით ოთხ ნახევარი მეათედი, ი. . . . . 45 პროც.
3) სახელმწიფოს მომარაგების სამინისტროს სახით ოთხ ნახევარი მეათედი, ე. ი. . . . . 45 პროც.

შეგროვილი მატყლიო უპირველესად დაკმაყოფილებული იქნება რესპუბლიკის საშინაო მოთხოვნილება, მხოლოდ დანარჩენი მატყლი განაღდებული იქნება საზღვარ-გარეთის ბაზარზე.

მომარაგების სამინისტრო.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

ოქტომბრის 1-დან დაიწყო მოქმედება თბილისის სამონოპოლიო მატყლის საწყობმა, საიდანაც მატყლი გაიყიდება ბითუმად.

სოფლებში და ქალაქებში მატყლის მომხმარებელზე წვრილად გაყიდვა შეუძლიანთ **მომხმარებელ კოოპერატივებს** და სადაც ამნაირები არ არიან—იქ თემებს და სხვა **საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.**

ზემოაღნიშნულმა ორგანიზაციებმა მატყლის შესაძენად უნდა მიმართონ

მომარაგების სამინისტროს,

რომლიდანაც, სრული საფასურის გადახდის შემდეგ, მიიღებენ ორდერს საწყობიდან მატყლის მისაღებად.

შენიშვნა: რესპუბლიკის ყველა კოოპერატივები საჭირო მატყლს მიიღებენ „ცეკავშირისაგან“, რომელიც მატყლს იღებს მომარაგების სამინისტროდან.

მატყლის ყიდვა გაყიდვა

პირველ პირთათვის აკრძალულია

სახელმწიფო საწყობში რესპუბლიკის შინაურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მატყლი იყიდება შემდეგ ფასებში:

ა) საშუალო ღირსების, გაშრეცხავი მატყლი 4.000 მან.
ბ) სუფთა—ახალგორის და სხვა რაიონების 4.500 მან.

კოოპერატივები და სხვა ორგანიზაციები **ვალდებული არიან** ადგილობრივ **გაყიდონ მატყლი მომხმარებელზე, გადატანის ხარჯების და 10 პროც. საორგანიზაციო ხარჯების** დამატებით.

ყოველივე მოქალაქეს (მომხმარებელს) უფლება აქვს თვალყური ადევნოს, რომ მატყლის გამყიდველმა ორგანიზაციამ ვადასატანი ხარჯები გაზრდილად არ იანგარიშოს.

მატყლის გამყიდავი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან მატყლი თვით მომხმარებელს მიჰყიდონ და ნორმალურად გაანაწილონ მატყლი თავიანთ რაიონში.

შენიშვნა: სართავ-საქსოვი ფაბრიკები მატყლს მიიღებენ სამინისტროს საწყობიდან.

მომარაგების სამინისტრო.

გლეხთა საყურადღებოდ

დამფუძნებელი კრების ნაციონალისტთა ფრაქცია

აცხადებს, რომ იგი სათანადო დახმარებას აღმოუჩენს სოფლის მცხოვრებთ გლეხებს ყოველგვარ საერთო—სასოფლო—საჭიროებათა (ადგილ მამულის, სურსათის, ეკლესიის, სკოლის, გადასახადების და სხვა საქმეების) დროზე დასაკმაყოფილებლად სათანადო დაწესებულებათა მიერ.

ყოველგვარი ცნობები, შუამდგომლობანი და სხვა ამასალა მიიღება **თბილისში:** „ნაციონალისტის“ რედაქციაში დამფუძნ. კრების ქ. №5